



## შეთავაზება ტურისტულ სააგენტოებს

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების საზღვარგარეთ სამსახურებრივი მივლინებისას მგზავრობის, ავიაბილეთებისა და სასტუმროს შესაბამისი ნორმატივის ფარგლებში მომსახურების უზრუნველსაყოფად, განვიხილავთ საქართველოში დარეგისტრირებული ტურისტული სააგენტოების შემოთავაზებას.

გთხოვთ, დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნების შესაბამისად, მოგვანოლოთ ინფორმაცია თქვენი პირობების შესახებ:

- ▶ ინფორმაცია კომპანიის გამოცდილების შესახებ:
  - ▶ საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციის (IATA) წევრობა;
  - ▶ ტურიზმის სფეროში მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება;
  - ▶ კომპანიის წლიური ბრუნვა მინიმუმ - 30 000 ლარი.
- ▶ დაბალი ფასის შეთავაზება (მხოლოდ ეკონომკლასი, რომელიც მოიცავს აეროპორტის მოსაკრებლებს ნებისმიერი მიმართულებით, ყველა ავიაკომპანიით);
- ▶ მაქსიმალურად მოკლე ვადაში (15 წუთიდან - 30 წუთამდე) მგზავრობასთან დაკავშირებული მარშრუტების ვარიანტების შეთავაზება;
- ▶ მუდმივი საქონტაქტო პირი - ტუროპერატორის გამოყოფა, რომელიც 24/7 -ზე შეძლებს ბილეთის გამოწერას;
- ▶ ბორტზე ადგილების დაჯავშნა;
- ▶ მგზავრების წინასწარი რეგისტრაცია;
- ▶ აეროპორტის / სასტუმროს ტრანსფერი;
- ▶ ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის ნაფრენი მიწების კორპორატიული დაგროვების სისტემით სარგებლობის უზრუნველყოფა;
- ▶ სპეცტარიფები ჯგუფური ჯავშნის (+10 ადამიანი) შემთხვევაში;
- ▶ საერთაშორისო სარკინიგზო ბილეთები;
- ▶ უცხოეთში ავტობუსის ბილეთები;
- ▶ საზღვარგარეთ სატრანსპორტო მომსახურება;
- ▶ საზღვარგარეთ ნორმატივის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისი ხარისხიანი სასტუმროს დაჯავშნა (მინიმუმ სამეარსკვლავიანი);
- ▶ მგზავრობის დროს წარმოქმნილი პრობლემის დროს, როგორც არის ბარგის დაკარგვა (ზოგ შემთხვევაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ქონება) ავიაკომპანიებთან მუამდგომლობის გაწევა.

### საჭიროების შემთხვევაში:

- ▶ ორგანიზაციის სტუმრებისთვის შიდა ტურების დაგეგმვა და ორგანიზება;
- ▶ კვალიფიციური გიდის მომსახურება;
- ▶ მსუბუქი და სამგზავრო ავტოტრანსპორტით მომსახურება;
- ▶ სასტუმროების დაჯავშნა საქართველოში სპეციალური დაჯავშნის სისტემების და პარტნიორების მეშვეობით.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ  
პროტოკოლის მენეჯერს, ხათუნა იოსელიანს  
ტელ: 032 2 409 235  
ელ-ფოსტა: K.iოსელიანი@gpb.ge